- დ) კუჭქვეშა ჯირკვლის გადილების დროს.

703. ღვიძლის ჩრდილის გადილება შემოსამღვრული ნახევარსფეროები გამოიხატება, სწორი კონტურებითა და გაკირული უბნებით, ნამგლის ან ბელგის სახით. დამახასიათებელია:

- ა) ღვიძლის კიბოსათვის.
- *ბ) ღვიძლის ექინოკოკური კისტისათვის.
- გ) ღვიძლის ნაწილობრივი რელაქსაციისათვის.
- დ) ნეკროზის ხრტილოვანი ნაწილების გაკირვისათვის.

704. მასკლერობირებული ქოლანგიტების განვითარება განპირობებულია სანაღვლე სადინრების შევიწროებით. ამ დროს:

- ა) პათოლოგიურ პროცესში ჩართულია ღვიძლისა და ნაღვლის საერთო სადინრები.
- ბ) ადგილი აქვს მხოლოდ ნაღვლის საერთო სადინრის შევიწროებას.
- გ) ცვლილებები ვლინდება ღვიძლის სეგმენტურ სადინრებში.
- *დ) ბილიარული ხის ყველა მონაკვეთში.

705. ნაღვლის ბუშის სფინქტერების, მუსკულატურის და ნაღვლის საერთო სადინრის მუშაობის მოშლა, რაც ვლინდება ქოლანგიტისგან განსხვავებით, ნაღვლის ბუშის დაცლის ნორმალური რითმის ცვალებადობით, დამახასიათებელია:

- ა) სიმსუქნისათვის.
- ბ) ჰეპატიტისათვის.
- *გ) ნაღვლის ბუშის და სანაღვლე გზების დისკინეზიისათვის.
- დ) ნაღვლის ბუშის კეთილთვისებიანი სიმსივნეებისათვის.

706. კონტრასტირებული ნაღვლის ბუშის მომეზია: 3 ხ 5 სმ ან 4 ხ 6 სმ ნაღვლმდენი საუბმის მიღების შემდეგ 15 წუთში მისი მომეზია შემცირდება 3/4-ით, 1 საათში მისი ჩრდილი საერთოდ არ ვლინდება. ადგილი აქვს:

- *ა) ჰიპერტონულ, ჰიპერმოტორულ დისკინეზიას.
- ბ) ჰიპოტონურ, ჰიპოკინეტიურ დისკინეზიას.
- გ) მირისის სფინქტერის ბლოკადას.
- დ) ნაღვლის ბუშის წყალმანკს.

707. ნაღვლის ბუში დიდი მომეზიაა, ჩრდილი ნაკლებინტენსიური, ნაღვლმდენი საუბმის მიღებიდან 3-4 საათის შემდეგ ნაღვლის ბუშში აღინიშნება კონტრასტირებული ნაღვლის 70-80%. ადგილი აქვს:

- ა) ჰიპერტონულ, ჰიპერკინეტიურ დისკინეზიას.
- *ბ) ჰიპოტონურ ჰიპოკინეტიურ დისკინეზიას.

- გ) ოლის სფინქტერის სპაზმს.
- დ) ნაღვლის ბუშტის წყალმანკს.

708. ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების გაუკირავი კენჭების აღმოჩენა ბილიარული სისტემის კონგრასტირების გარეშე:

- *ა) შეუძლებელია.
- ბ) შესაძლოა ნებისმიერ შემთხვევაში.
- გ) შესაძლოა მრავლობითი წვრილი კონკრემენტების არსებობისას.
- დ) შესაძლოა 2 სმ-ზე მეტი ღიაშეგრის ან წახნაგოვანი ფორმის კონკრემენტის არსებობისას.

709. კონგრასტირებულ ნაღვლის ბუშტში აღინიშნება მომრგვალო ფორმის კილითი ავსების ღეფექტი, ზომით 1,5 = 2,0 სმ. რომელიც არ იცვლის მდებარეობას პოლიპოზიციური კვლევით, ეს სიმპტომი არის:

- ა) კონკრემენტი.
- ბ) პერიქოლესისტიტის,
- *გ) კეთილთვისებიანი სიმსივნის.
- დ) კიბოსი.

710. ნაღვლის ბუშტის კიბო.

- *ა) ჩვეულებრივ ვლინდება აფუქციურ ნაღვლის ბუშტში.
- ბ) ყოველთვის ვლინდება ავსების ღეფექტით.
- გ) იშვიათად შერწყმულია ნაღვლის ბუშტის კენჭთან.
- დ) თან სდევს ნაღვლის ბუშტის წყალმანკი.

711. ნაღვლის ბუშტის კენჭების წარმოქმნა განპირობებულია შემდეგი პროცესით.

- ა) მექანიკური.
- ბ) ქიმიური.
- *გ) ფიზიკო-ქიმიური.
- დ) ინფექციური.

712. ნაღვლის ბუშტის კენჭების 80% შედგება:

- ა) ქოლესისტერინისაგან.
- ბ) ნახშირმჟავა კალციუმისაგან.
- გ) კალციუმის ბილირუბინისაგან.
- *დ) შერეულია.

713. ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების რენტგენოკონგრასტული კონკრემენტები გვხვდება შემთხვევათა

- ა) 65%.
- ბ) 50%.
- გ) 35%.
- *დ) 20%.

714. ნაღვლის ბუშტის თხელი ლორწოვანი სეკრეტით გაგანიერება-გადავსებას აღვილი აქვს:

- ა) ემპიემის დროს.
- ბ) ფლეგმონობური ქოლესისტიტის დროს.
- *გ) წყალმანკის დროს.
- დ) ლიმფორეის დროს.

715. ბავშვებსა და მოზარდებში ნაღვლის ბუშტის რენგგენოკონტრასტული კენჭების არსებობა დაკავშირებულია:

- ა) ლაქტამის დეფიციტთან.
- ბ) რძის ზომამზე მეტად მოხმარებასთან.
- გ) ქოლეცისტერინის ცვლის მოშლასთან.
- *დ) კალციუმის მეტაბოლიზმის მოშლასთან.

716. ავადმყოფს, ქოლეცისტექტომიიდან 8 დღის შემდეგ ღიაფრაგმის მარჯვენა გუმბათის ქვეშ ღვიძლის ფონზე აღენიშნება სითხის ფართე ღონე. გუმბათი უმოძრაოა, მისი კონტური არამკაფიოა, მის ზემოთ დისკოსებური აგელექტამი, კოსტოღიაფრაგმულ სინუსში სითხე. თქვენი დასკვნაა:

- ა) ღვიძლის აბსცესი.
- *ბ) ღიაფრაგმისქვეშა აბსცესი.
- გ) მსხვილი ნაწლავის ინტერპოზიცია.
- დ) სწორი პასუხი არ არის.

717. კალკულოზური ქოლეცისტიტისა და ქოლელქოლითიაზის გამო ქოლეცისტექტომიისა და ნაღვლის საერთო სადინრის ღრენირების, შემდეგ ღრენაქიდან აღინიშნება ჭარბი რაოდენობით ნაღვლის გამოყოფა, განავალი გაუფერულებულია, ფისტულოგრაფიის დროს სადინარი გაგანიერებულია, მისი ტერმინალი ნაწილი ობტურირებულია, ობტურაციის ფორმა მენისკისებურია. ობტურაციის მიზეზია:

- ა) კიბო.
- *ბ) კენჭი.
- გ) ნაწიბუროვანი სტრიქტურა.
- დ) სპაზმი.

718. ელენტის გაღიღების დროს ტიპურია ცლომა:

- ა) ღიაფრაგმის.
- ბ) კუჭის.
- *გ) კოლინჯის.
- დ) 12-გოჯა ნაწლავის.

719. ყველაზე ხშირად ელენტაში გაკირვა აღინიშნება.

- ა) ელენტის ინფარქტისას.
- ბ) ბაქტერიული ინფექციისას.
- გ) სუბკაფსულარული კისტებისას.
- *დ) პარაზიტიკული კისტებისას.

720. სხვადასხვა პათოლოგიური პროცესებით ელენტაში კირის მარილების ჩალაგება გვაძლევს შემდეგ რენგგენოლოგიურ სურათს:

- ა) ვრცელი უწესრიგო გაკირვა.
- ბ) წვრილი, დაწინწკლული გაკირვა.
- გ) ბეჭდისებური ჩრდილები.
- *დ) ზემოთხამოთვლილი ნებისმიერი კომბინაცია.

721. ღიაფრაგმის მოძრაობის გამოხატული დარღვევა არ არის დამახასიათებელი:

- ა) პანკრეატიტისათვის.
- ბ) ქოლეცისტიტისათვის დროს.

გ) ღვიძლის ღიაფრაგმისქვეშა აბსცესისათვის.

*დ) ნაწლავთა მექანიკური გაუვალლობისათვის.

722. ღიაფრაგმის ანთებითი პროცესისთვის დამახასიათებელი არ არის:

ა) გამონაჟონი პლევრალურ სინუსში.

ბ) ღიაფრაგმის გასქელება.

*გ) ღიაფრაგმის გუმბათის ნორმალური ექსკურსია.

დ) ღიაფრაგმის გუმბათების უძრაობა-მოძრაობის არ არსებობა.

723. ღიაფრაგმის პირველადი კეთილთვისებიანი სიმსივნეები რენტგენოლოგიურად ხშირად გამოვლინდება:

ა) მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვით.

ბ) ერთ-ერთი ღიაფრაგმის გუმბათების გასქელებით.

*გ) მომრგვალო ან ოვალური ფორმის ჩრდილი სწორი ან გაღლისებური კონტურებით.

დ) არასწორი ფორმის ჩრდილი, უსწორმასწორო ზედაპირით და არამკვეთრი კონტურებით.

724. საყლაპავის აბდომინალური და კუჭის ნაწილები პაციენტის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში რენტგენოლოგიური კვლევისას, იმყოფება ღიაფრაგმის ზემოთ, საყლაპავი კუჭის შესასვლელთან აკეთებს მუხლს, ასეთი სურათი დამახასიათებელია:

ა) საყლაპავის ხვრელის პარაეზოფაგეალური თიაქრისათვის.

*ბ) საყლაპავის ხვრელის აქსიალური არაფიქსირებული კარდიოფუნდალური თიაქრისათვის.

გ) ღიაფრაგმის რელაქსაციისათვის.

დ) პარასტერნალური თიაქრისათვის.

725. ავადმყოფის კარგი თვით შეგრძნების დროს, შუასაყრის ფონზე ჰორიზონტალური დონის, სითხის აღმოჩენისას, ღიაგნოსტიკური მიზნით პირველ რიგში უნდა ჩატარდეს:

ა) შუასაყრის ლაგეროსკოპია.

ბ) შუასაყრის გომოგრაფია.

*გ) საყლაპავის გამოკვლევა ბარიუმის ფაფით.

726. ღიაფრაგმის სიმსივნური წარმონაქმნის, რელაქსაციისა და სუბღიაფრაგმული პათოლოგიური პროცესების დიფ. ღიაგნოსტიკისას, ყველაზე მეტად ინფორმატიული რენტგენო-ღიაგნოსტიკური მეთოდია:

ა) უკონტრასტო რენტგენოგრაფია.

ბ) გომოგრაფია.

*გ) კტ.

დ) პნევმოთორაქსი.

727. ღიაფრაგმისა და გულმკერდის პათოლოგიური წარმონაქმნების რენტგენოლოგიური დიფ. ღიაგნოსტიკის დროს ყველაზე მეტად ინფორმატიული მეთოდია:

ა) გულმკერდის მიმოხილვითი რენტგენოგრაფია.

ბ) გომოგრაფია.

გ) ულტრაბგერითი გამოკვლევა.

*დ) კტ.

728. მუცლის წინა კედლის თიაქრის შიგთავსის განსაზღვრისათვის ხშირად საკმარისია:

ა) მუცლის დრუს მიმოხილვითი გამოკვლევა.

ბ) გამოკვლევა ლაგეროსკოპიაში.

გ) კუჭ-ნაწლავის გრაქტის კონტრასტული გამოკვლევა პირდაპირ პროექციაში.

*დ) კუჭ-ნაწლავის გრაქტის კონტრასტული გამოკვლევა გვერდით პროექციაში.

729. მუცლის ღრუში თავისუფალი სითხის არსებობის დადასტურების ყველაზე მარტივი მეთოდია:

ა) მუცლის ღრუს მიმოხილვითი რენტგენოგრაფია.

ბ) ლაპარასკოპია.

*გ) ულტრაბგერითი გამოკვლევა.

დ) კბ.

730. მუცლის ღრუში შეხორცებითი პროცესების რენტგენოლოგიური სურათი მიიღება შემდეგი გამოკვლევებისას:

ა) კუჭ-ნაწლავის გრაქტის კონტრასტული გამოკვლევა ბარიუმის ფაფით.

ბ) პნევმოგასტროკოლონოგრაფიით.

*გ) პნევმოპერიტონეუმით.

დ) მუცლის ღრუს მიმოხილვითი გამოკვლევა.

731. შემოსაზღვრული პერიტონიტი (მუცლის ღრუს აბსცესი) ხშირად გვხვდება და რენტგენოლოგიურად ხშირად ვლინდება:

*ა) ღიაფრაგმის ქვემოთ.

ბ) ღვიძლის ქვემოთ.

გ) მარჯვენა თეძოს ფოსოში.

732. მუცლის ღრუს აბსცესის პირდაპირი რენტგენოლოგიური ნიშნებია:

ა) მუცლის ღრუს შემოსაზღვრული დაჩრდილვა.

ბ) დაჩრდილული უბნის მეზობელ ორგანოთა ცლომა.

გ) ნაწლავის მარყუქების შემოსაზღვრული პარეტი.

*დ) ჰორიზონტალური სითხის დონე შემოსაზღვრულ ღრუში.

733. რეგროპერიტონეული სივრცის პათოლოგიური პროცესის ყველაზე მეტად სარწმუნო სიმპტომია:

ა) განივი კოლინჯის ცლომა ბემოთ.

*ბ) ასწვრივი და დასწვრივი კოლინჯის ცლომა წინ.

გ) მარდსაწვეთის გაგანიერება და მასზე ბეწოლა.

დ) წვრილი ნაწლავის მარყუქების ფიქსაცია.

734. რეგროპერიტონეულ პათოლოგიურ ორგანოსგარეშე წარმონაქმნებს შორის, ყველაზე ხშირია:

ა) კეთილთვისებიანი სიმსივნეები.

*ბ) ავთვისებიანი სიმსივნეები.

გ) კისტები.

დ) ანთებითი ინფილტრაციები.

735. ღრუ ორგანოების პერფორაციის სარწმუნო სიმპტომია:

ა) ღიაფრაგმის მდებარეობის შეცვლა და ფუნქციის დარღვევა.

*ბ) თავისუფალი აირის არსებობა მუცლის ღრუში.

გ) თავისუფალი სითხის არსებობა მუცლის ღრუს გვერდით ღარებში.

დ) მეტეორიზმი.

736. კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის პერფორირებულ წყლულზე ეჭვის დროს უპირველეს ყოვლისა უნდა ჩატარდეს:

- * ა) მუცლის დრუს გამოკვლევა კონტრასტის გარეშე.
- ბ) კუჭის ორმაგი კონტრასტირება.
- გ) კუჭის გამოკვლევა წყალში ხსნადი კონტრასტული ნივთიერებით.

737. ნაწლავის ნებისმიერი ტიპის მექანიკური გაუვალობის საერთო რენტგენოლოგიურ ნიშნებად მიჩნეულია:

- ა) თავისუფალი აირი მუცლის დრუში.
- ბ) თავისუფალი სითხე მუცლის დრუში.
- * გ) თაღებისა და სითხის ჰორიზონტალური დონეების არსებობა ნაწლავში კლოიბერის ფიალები და თაღები.
- დ) კუჭ-ნაწლავის გრაქტის გოპოგრაფიის დარღვევა.

738. მუცლის დრუს მიმოხილვით რენტგენოგრაფიაზე ისახება გაზით გადაბერილი ნაწლავის მარყუქები, რომელთა სანათურში, პაციენტის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნისას, აღინიშნება სითხე ჰორიზონტალური დონით, ასეთი სურათი დამახასიათებელია:

- ა) მუცლის დრუს დახურული გრავმისათვის.
- ბ) ნაწლავის კედლის დარღვევისათვის.
- * გ) ნაწლავის მექანიკური გაუვალობისათვის.
- დ) ქრონიკული აპენდიციტისათვის.

739. წვრილი ნაწლავის და კოლინჯის მარჯვენა ნახევრის მექანიკური გაუვალობის მთავარ განმსაზღვრელ რენტგენოლოგიურ ნიშნებს წარმოადგენს:

- ა) სხვადასხვა სიმაღლის თაღები, კერკინგის ნაოჭებით.
- ბ) სითხის ჰორიზონტალური დონის არსებობა, რომლის სიგანე აღემატება სიმაღლეს.
- გ) აირის არსებობა წვრილ ნაწლავში და კოლინჯში.
- დ) აირის არსებობა წვრილ ნაწლავში.
- * ე) კლოიბერის ფიალების არსებობა

740. ნაწლავის გაუვალობის პირველი რენტგენოლოგიური ნიშნები გამოვლინდება:

- ა) 1-1,5 სთ-ის შემდეგ.
- ბ) 1,5-2,5 სთ-ის შემდეგ.
- * გ) 2,5-3 სთ-ის შემდეგ.
- დ) 4-5 სთ-ის შემდეგ.

741. ნაწლავის ფუნქციური და მექანიკური გაუვალობის დიფერენციალური რენტგენოლიაგნოსტიკის საფუძველს შეადგენს:

- ა) გაუვალობის ლოკალიზაციის დონის განსაზღვრა.
- ბ) ასციტის გამოვლენა.
- გ) აირისა და სითხის თანაფარდობა ნაწლავში, ცვლილებები ლოკალური ან გავრცელებული ხასიათი.
- * დ) პაციენტის მდგომარეობის შეცვლისას, ნაწლავის მარყუქების მდგომარეობის ნელი ცვლილება, ლიაფრაგმის მოძრაობის შეზღუდვა.

742. კუჭ-ნაწლავის გრაქტიდან მწვავე სისხლდენისას, კოლაფსის არ არსებობის დროს რენტგენოლოგიური კვლევა შეიძლება ჩატარდეს:

- * ა) კლინიკაში პაციენტის შემოსვლისთანავე.

- ბ) 3-4 სთ-ის შემდეგ.
- გ) 4 სთ-ის შემდეგ.
- დ) 3-4 დღის შემდეგ.

743. მუცლის ღრუს დახურული ტრავმის დროს 12-გოჯა ნაწლავის დასწვრივი ტოგის გასკდომის, ძირითადი სიმტომებს წარმოადგენს:

- ა) ღიაფრაგმის, კუჭისა და მსხვილი ნაწლავის ცლომა.
- ბ) მარცხენა ღიაფრაგმის ქვედა სივრცის დაჩრდილვა.
- გ) თავისუფალი აირი მუცლის ღრუში.
- *დ) რეგროპერიტონეალური ემფიზემა.

744. მუცლის ღრუს ყრუ ტრავმის დროს, მიმოხილვითი რენტგენოგრაფიაზე ისახება მუცლის ღრუს მარჯვენა ნახევრის დაჩრდილვა, ღიაფრაგმის მარჯვენა გუმბათის მაღალი დგომა, ღვიძლის ქვედა კიდე არ ღიფერენცირდება, კუჭი და მსხვილი ნაწლავები ცლომილია და გადაბერილია აირით, თქვენი დასკვნა:

- ა) 12-გოჯა ნაწლავის ჰემატომა.
- ბ) მუცლის ღრუშიდა სისხლდენა.
- *გ) ღვიძლის გახეთქვა.
- დ) ელენთის სუბკაფსულარული დაზიანება.

745. მუცლის ღრუს ტრავმის დროს ყველაზე ხშირად მიახლება:

- ა) ემოფაგო-კარდიალური ნაწილი.
- ბ) პილორუსი.
- *გ) 12-გოჯა ნაწლავი.
- დ) განივი კოლინჯი.

746. პაციენტს, მენჯის ძვლების მოტეხილობის დროს, შარდის შეკავებისა და ჰემატურიის თანხლებით, პირველ ყოვლისა უნდა ჩაუტარდეს:

- ა) ირიგოსკოპია.
- ბ) აორტოგრაფია.
- გ) ექსკრეტორული უროგრაფია.
- *დ) ცისტოგრაფია.

747. მაღლა მდგომი და უმოძრაო მარჯვენა ღიაფრაგმის გუმბათი, გამონაქონი მარჯვენა ღიაფრაგმულ სინუსში, ღვიძლის ჩრდილის ფონზე სითხის ჰორიზონტალური დონე-ჩამოთვლილი რენტგენოლოგიური ცვლილებები ახასიათებს:

- ა) ქოლანგიტს.
- ბ) ღვიძლის აბსცესს.
- *გ) მარჯვენამხრივი ღიაფრაგმისქვეშა აბსცესს.
- დ) ღვიძლის სიმსივნეს.

748. რენტგენოლოგიური ნიშნები: მარცხენა ღიაფრაგმის გუმბათის მაღლა დგომა და მოძრაობის შეზღუდვა, რეაქციული ცვლილებები პლევრის ღრუში და ფილგვის ბაზალურ სეგმენტებში, არაერთგვაროვანი დაჩრდილვა სითხის ჰორიზონტალური დონით მარცხენა ღიაფრაგმის გუმბათის ქვემოთ, კუჭისა და კოლინჯის ელენთის ნაკეცის ცლომა - დამახასიათებელია:

- ა) ელენთის გახეთქვისთვის.
- ბ) თრომბოფლებიგური სპლენომეგალიისათვის.
- *გ) მარცხენამხრივი ღიაფრაგმისქვეშა აბსცესისათვის.

დ) პანკრეასის კულის სიმსივნისათვის, რღვევის ფაზაში.

749. ღვიძლის პროექციაზე, სხვადასხვა ზომის დრუ წარმონაქმნის არსებობა სითხით და აირით, რომლებიც ისახებიან პირდაპირ და გვერდით პროექციებში, რეაქტიული, პლევრალური ცვლილებების გარეშე, მეტყველებს:

- ა) მსხვილი ნაწლავის ინტერპოზიციაზე.
- ბ) შემოსაზღვრულ ჩირქოვან პერიტონიტზე.
- გ) ღიაფრაგმისქვეშა აბსცესზე.
- *დ) ღვიძლის აბსცესზე.

750. საყლაპავის ჭრილობისას, უკონტრასტო გამოკვლევით, ყველაზე დამაჯერებელი რენტგენოლოგიურ სიმპტომად გვევლინება ყველა გარდა:

- *ა) აირი საყლაპავის სანათურში.
- ბ) პნევმოქოლასტინუმი, კისრის რბილი ქსოვილების ემფიზემა.
- გ) კისრის ლორღობის გასწორება.
- დ) შუასაყრის ჩრდილის გაფართოება.

751. საყლაპავის რენტგენოლოგიური კვლევის დროს ბარიუმის ფაფაში მთრიმლავი ნივთიერების დამატება შეიძლება ინფორმატიული იყოს:

- ა) რენტგენოკარდიალური ნაწილის სეგმენტის კიბოს დროს
- *ბ) ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს
- გ) დივერტიკულების დროს
- დ) საყლაპავის აქალაზიის დროს

752. კარდიოემოფაგალური სეგმენტის მდგომარეობის შეფასების საუკეთესო პოზიციას კვლევა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ამ დროს ოპტიმალური პროექციაა:

- ა) მარცხენა ირიბი (ზურგზე)
- ბ) მარჯვენა ირიბი (ზურგზე)
- გ) მარცხენა ირიბი (მუცელზე)
- *დ) მარჯვენა ირიბი (მუცელზე)

753. კუჭისა და ნაწლავის კედლის სტრუქტურის გამოვლენა შეიძლება:

- ა) პარიეტოგრაფიით
- ბ) ორმაგი კონტრასტირებით
- *გ) კომპიუტერული ტომოგრაფიით
- დ) ექოსკოპიით

754. კუჭ-ნაწლავის გრაქტის მოგორიკის გაძლიერების მიზნით გამოიყენება:

- ა) აგროპინი
- *ბ) მორფიუმი
- გ) სორბიტი
- დ) ნიტროგლიცერინი

755. თორმეტიგოჯა ნაწლავში ცვლილებების არსებობის დასაზუსტებელ მეთოდს მის მეზობლად განლაგებულ ორგანოების დაავადებისას წარმოადგენს:

- ა) კუჭისა და ნაწლავების ბარიუმის ფაფით კვლევა
- *ბ) რელაქსაციური დუოდენოგრაფია
- გ) ინტრავენური ქოლეგრაფია

დ) პნევმოპერიტონიუმი

756. წვრილი ნაწლავის რენტგენოლოგიური კვლევის მეთოდის უპირატესობას საუბრესთან ერთად წარმოადგენს:

ა) კვლევის სისწრაფე

ბ) ავადმყოფის დასხივების მცირე დოზა

*გ) ფიზიოლოგიურობა, ფუნქციური ცვლილებების დიაგნოსტიკის შესაძლებლობა, კვლევის სისწრაფე

757. ენგეროოცნის უპირატესობას წვრილი ნაწლავის რენტგენოლოგიური გამოკვლევის სხვა მეთოდებთან შედარებით წარმოადგენს ის, რომ

ა) არ იძლევა გართულებას, არ აქვს უკუჩვენება

ბ) იძლევა ფუნქციური დარღვევის შესწავლის საშუალებას

გ) იძლევა ნაწლავში ბარიუმის პასაჟის შეფასების საშუალებას

*დ) შესაძლებელია გამოვავლინოთ შევიწროვებული უბნები და დავადგინოთ მათი გავრცელების ფარგლები (ამცირებს გამოკვლევის დროს)

758. მსხვილი ნაწლავის ერთმომენტიანი ორმაგი კონტრასტირებას დროს დიფერენციულების, პოლიპებისა და ფეკალური მასების გამოსახულება შეიძლება ერთნაირი იყოს მათი ირგვლივ წრიულად ბარიუმის ფენის არსებობის სახით. ისინი შეიძლება დამაჯერებლად დიფერენცირებული იყოს:

ა) ბარიუმის წრიული ფენის ინტენსივობის მიხედვით (დიფერენციულის დროს მეტად ინტენსიური)

ბ) ბერიუმის წრიული ფენის კონტრასტულობის მიხედვით (დიფერენციულების დროს უფრო მკაფიოა გარეთა, ხოლო პოლიპების დროს - შიგნითა)

*გ) პათოლოგიური წარმონაქმნის სიმკვრივის მიხედვით (პოლიპის სიმკვრივე ფეკალური მასის სიმკვრივეზე მეტია)

759. ინგრავენური ქოლანგიოგრაფიის კონტრასტულობის გაზრდა შესაძლებელია:

ა) ფარმპრეპარატების საშუალებით, რომლებიც აძლიერებენ ღვიძლის მიერ საკონტრასტო ნივთიერების სეკრეციას

ბ) ინგრავენურად კონტრასტის დამატებითი დოზის შეყვანით, თირკმელების მიერ გამოყოფილი საკონტრასტო ნივთიერების კომპენსირების მიზნით

გ) დეჰიდრატაციული საშუალებით

*დ) კონტრასტის ინფუზორი შეყვანა, ან ერთდროულად საკონტრასტო ნივთიერების და სისხლის შრატისა და ალბუმინის ერთდროულად შეყვანა

760. კონცენტრული ფორმის გაკირვა ზომით 1,0-1,5 სმ, წელის მეორე მალის დონეზე, ან ძეწკვისებური გაკირვა აღნიშნული დონის მარჯვნივ და ქვევით ახასიათებს:

ა) მეზენტერიული სისხლძარღვების გაკირვას

ბ) ქრონიკულ ჰეპატიტს

*გ) ტუბერკულოზურ მეზადენიტს

დ) შარდ-კენჭოვან დაავადებას

761. სოლიტარული უსწორმასწორო კონტურებიანი გაკირვული ჩრდილი მდებარეობს მუცლის დრუს მარჯვენა გემო სართულში, გვერდით პროექციაში ეხება ხერხემალს, ეს არის:

ა) ნაღვლის ბუშის ან ქოლედოქუსის ქვა

ბ) თირკმლის კენჭები

*გ) პანკრეასის თავში გაკირვული უბანი

დ) გაკირული ლიმფური კვანძი

762. ღიაფრაგმის ექსკურსია ნორმალურ პირობებში ზომიერი და ღრმა ჩასუნთქვისას შესაბამისად შეადგენს

*ა) 3,0-5,0 სმ

ბ) 1,0 და 2,0 სმ

გ) 2,0-3,0 და 4,0 სმ

დ) 4,0 და 5,0 სმ

763. სუნთქვითი მოძრაობის ამპლიტუდას სწავლობენ ამოსთვის ბადით, გამომეგებს აწარმოებენ:

ა) ღიაფრაგმის მედიალური ნაწილის მიხედვით

*ბ) ღიაფრაგმის ცენტრალური ნაწილის მიხედვით

გ) გარეთა ნაწილის მიხედვით

დ) ყველა სამ ნაწილში - სამ წერტილში

764. ახალგაზრდა პაციენტს ლოკალურად დავიწროვებული სადა კიდეებიანი უბნის ზემოთ თანდათანობით აღენიშნება განივი კოლინჯის დისტალური სეგმენტების გამოხატული გაფართოება და დაგრძელება:

ა) კრონის დაავადების დროს

ბ) ტუბერკულოზის დროს

*გ) მეგაკოლონის დროს

დ) წყლულოვანი კოლიტის დროს

765. ხახის ფუნქციის დარღვევა და საკონტრასტო ნივთიერების ასპირაცია გრაქეაში აღინიშნება:

ა) საყლაპავის დიფერტიკულის დროს

ბ) საყლაპავის დამწვრობის დროს

გ) ეზოფაგიტის დროს

*დ) ხახის პარეზის დროს

766. ხახის პარეზის დროს, დაზიანებულ მხარეს ვალეკულები და მსხლისებრი სინუსები:

ა) არ ივსება

ბ) სწრაფად იცვლება

*გ) ხანგრძლივად ავსებული ბარიუმით, გაგანიერებულია

დ) დეფორმირებულნი არიან

767. ღიაფრაგმის საყლაპავის ხერელის თაქარის იშვიათ გართულებას წარმოადგენს:

ა) გასტრიტი

ბ) რეფლუქს-ეზოფაგიტი

*გ) სისხლდენა და ანემია

768. საყლაპავის ნაწიბუროვანი ცვლილებები მისი დისტალური ნაწილის დამოკლებით და ღიაფრაგმის საყლაპავის ხერელის ფიქსირებული თიაქარი არის შედეგი:

ა) ღიაბეგის

ბ) კარდიის აქალაზიის

გ) წყლულოვანი რეფლუქს-ეზოფაგიტის

*დ) კუჭის პროქსიმალური რეზექციის

769. საყლაპავის ზედა მესამედის შევიწროვება არ არის დამახასიათებელი:

- ა) კიბოსთვის
- ბ) დამწვრობის შემდგომი ნაწიბუროვანი შევიწროვების
- *გ) მასტენობირებელი ეზოფაგიტისათვის
- დ) მასტენობირებელი მელიასტინიგისთვის

770. მსგავსი რენტგენოლოგიური მონაცემების საფუძველზე საჭიროა საყლაპავის ცვლილებების დიფერენცირება:

- ა) სკლეროდერმიასა და დამწვრობის შემდგომ ნაწიბუროვან სტენოზს შორის
- ბ) ენტეროლოგიურ კისტასა და კიბოს შორის
- გ) ატრეზიასა და აქალაზიას შორის
- *დ) საყლაპავის ხვრელის ფიქსირებულ თიაქარსა და ეპიფრენალურ დიფერტიკულს შორის

771. კუჭის პოსტწყლულოვანი დეფორმაციის სახეებია:

- ა) ქვიშის საათის მაგვარი
- ბ) ლოკოკინას მაგვარი
- გ) მცირე სიმრუდის დამოკლება
- *დ) ყველა პასუხი სწორია

772. ქვიშის საათის მაგვარი დეფორმაცია - ეს არის სანათურის ასიმეტრიული დავიწროება:

- *ა) კუჭის სხეულში
- ბ) ანგრალურ ნაწილში
- გ) პრეპილორულ ნაწილში
- დ) კუჭის ნებისმიერ მონაკვეთში

773. თორმეტგოჯა ნაწლავის ბემო ნაკეცის მედიალურ კედელზე მცირე ფორმის, უფორმო გამოდრეკილობა ამ დონეზე სანათურის მყარი დავიწროება გამაფლობის დარღვევის გარეშე, გამოხატული ჰიპერმობილურობა, ლორწოვანის ნაოჭების გასქელება და წყვეტილობა - დამახასიათებელი სიმპტომებია:

- *ა) ბოლქვსგარეთა წყლულის
- ბ) დანეკროზებული კიბოს
- გ) დიფერტიკულის
- დ) დუოდენიგის

774. სტანდარტული რენტგენოლოგიური კვლევისას აღინიშნება წვრილი ნაწლავის აწეული ტონუსი, ბარიუმის პასაჟი არათანაბარი აჩქარებით, სანათურში სითხე და ლორწო, არამკაფიო გამოხატული მარცვლოვან-ნოდოზური რელიეფი და გასქელებული წრიული ნაოჭები, ბარიუმის სვეტის სეგმენტაცია და ფრაგმენტაცია. თქვენი დასკვნა:

- ა) კრონის დაავადება
- ბ) ტუბერკულოზი
- *გ) წვრილი ნაწლავის შეწოვის ფუნქციის დარღვევის სინდრომი
- დ) ლიმფოგრანულომატოზი

775. წვრილი ნაწლავის მარყუქების ექსტაზის დროს მათი მიკუთვნება მლივ და თეძოს ნაწლავთან შეიძლება:

- ა) ლოკალიზაციის მიხედვით ხერხემალთან მიმართებაში
- ბ) პერისტალტიკის ხასიათის მიხედვით
- *გ) კერკრინგის ნაოჭების დიფერენცირების მიხედვით
- დ) დილატაციის ხარისხის მიხედვით

776. წერილი ნაწლავის ზელა ნახევრის ავთვისებიანი სიმსივნეებიდან უფრო ხშირად გვხვდება:

- ა) კიბო
- *ბ) ლიმფომა
- გ) ლეიკემიოსარკომა
- დ) კარცინოიდული სიმსივნე

777. ფიბროზის შედეგად ნაწლავის კედლის გასქელება, სხვადასხვა ხარისხით გამოხატული ლორწოვანის შეშუპება და დაწყლულებები აღიწერება, როგორც მორფოლოგიური სუბსტრატი

- *ა) წყლულოვანი კოლიტის დროს
- ბ) ენგეროპათიების დროს
- გ) სეგმენტური ენგერიტების დროს
- დ) სხივური ენგერიტების დროს

778. ქვემოთ ჩამოთვლილი წერილი ნაწლავის დაავადებებიდან რენტგენოლოგიურად ყველაზე იშვიათად დიაგნოსტიკურია:

- ა) ენგერიტი
- *ბ) პნევმატიტი
- გ) არაეპითელიური სიმსივნე
- დ) ავთვისებიანი ლოპომა

779. კოლინჯის მარცხენა ნახევრის შევიწროვება და დამოკლება, ლორწოვანი რელიეფის დიფუზური შეცვლა მრავლობითი პოლიპისმაგვარი დეფექტებით, ჰიპერმოტილურობა დამახასიათებელია:

- ა) ბანალური კოლიტისათვის
- *ბ) არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტისათვის
- გ) ავთვისებიანი ლიმფომისათვის
- დ) პოლიპოზისათვის

780. “მორიგე” პოლიპებია:

- ა) სოლიტარული მსხვილნაწლავოვანი პოლიპები
- ბ) ანთებითი პროცესებისას ლორწოვანი რეგენერაციის უბნები
- *გ) კიბოს ირგვლივ არსებული ჭეშმარიტი პოლიპები, აღინიშნება არანაკლებ 30%-ში
- დ) არცერთი ჩამოთვლილი

781. ზომიერად გამოხატული მიმდინარეობის ქრონიკული პანკრეატიტის დროს კუჭქვეშა ჯირკვლის სადინრების გიპიური ცვლილებები გამოვლინდება:

- ა) სრული ობსტრუქციით
- ბ) ერთეული ან მრავლობითი შევიწროვებით
- *გ) ვირზუნგის სადინრის არათანაბარი გაგანიერებითა და მისი ტოტების დეფორმაციით
- დ) კისტოზური გაგანიერებით

782. პერორალური ქოლესისტოგრაფია იქნება არაინფორმაციული, თუ სისხლში ბილირუბინის დონე შეადგენს:

- ა) 0,5 მგ%
- ბ) 1,0 მგ%
- *გ) 2,0 მგ%
- დ) 1,5 მგ%

783. ინფუზიური ქოლესისტოანგიოგრაფიისას კონტრასტირებული სანაღველე გზები, ნაღველის საერთო საღინარი გაგანიერებულია, მის დისკალურ ნაწილს აქვს “ამომზნექილი ლინზის” ფორმა. კონტრასტი თორმეტგოჯა ნაწლავში არ გადადის. სპაზმოლიტიკების მიღების შემდეგ სურათი ნორმალიზირდება. ადგილი აქვს:

- ა) პაპილარული მიდამოს სიმსივნეს
- ბ) მასტენომირებულ პაპილიტს
- *გ) ოდის სფინქტერის სპაზმს
- დ) ნაღველის ბუშტის დისკინეზიას

784. ნაღველის ბუშტის კენჭების 80% შედგება:

- ა) ქოლესტერინისაგან
- ბ) ნახშირმჟავა კალციუმისაგან
- გ) კალციუმის ბიკარბონატისაგან
- *დ) შერეულია

785. ინტრავენური ქოლანგიოქოლესისტოგრაფიისას არ აღინიშნება “ხუფის” ფაზა, გვერდითი კონტრასტული ზონები და შრეობრიობა. ბუშტის ჩრდილი საშუალო ინტენსიობისაა, არა ჰომოგენური. ეს ნიშნები მიუთითებს:

- ა) ღვიძლის ცილოვანი ფუნქციის დარღვევაზე
- ბ) სისხლში ალბუმინისა და გლობულინების თანაფარდობის დარღვევაზე
- გ) ნაღველის ბუშტის კონცენტრაციული ფუნქციის მე-3 ხარისხის დარღვევაზე
- *დ) ნაღველის ბუშტის კონცენტრაციული ფუნქციის მე-3-4 ხარისხის დარღვევაზე

786. ღვიძლისგარეთა სანაღველე გზები და ნაღველის ბუშტი არ კონტრასტირდება, კონტრასტი აღინიშნება თორმეტგოჯა ნაწლავში. ეჭვი მიიგანეს ნაღველკენჭოვან დაავადებაზე. მიზანშეწონილია გამოვიყენოთ

- ა) აგროპინი
- ბ) აერონი
- *გ) მორფინი
- დ) მეტაცინი

787. მარჯვანა კარდიოლიაფრაგმალურ კუთხეშიარსებული არაერთგვაროვანი ჩრდილის ფონზე, რომელიც ეკვრის გულმკერდის წინა კედელს, აღინიშნება ნაწლავის მარყუქები - ეს სიმპტომები დამახასიათებელია:

- ა) პერიკარდის ცელომიური კისტისათვის
- ბ) საყლაპავის ხვრელის თიაქრისათვის
- *გ) ლარეის თიაქრისათვის
- დ) ბოგდალეკის თიაქრისათვის

788. ღიაფრაგმის გრავმული თიაქარი უფრო ხშირად ვითარდება:

- ა) ცენტრალურ ნაწილში
- ბ) მარჯვენა გუმბათის უკანა ნაწილში
- გ) მარცხენა გუმბათის უკანა ნაწილში
- *დ) მარცხენა გუმბათის წინა ნაწილში

789. ღრუ ორგანოების პერფორაციის სარწმუნო სიმპტომია

- ა) ღიაფრაგმის მღებარეობის შეცვლა

- *ბ) თავისუფალი აირის არსებობა მუცლის ღრუში
- გ) თავისუფალი სითხის არსებობა მუცლის ღრუში
- დ) მეტეორიზმი

790. ავადმყოფს მწვავე მუცლის კლინიკით მიმოხილვითი რენტგენოლოგიური კვლევისას, მუცლის ღრუში აღენიშნება თავისუფალი აირის არსებობა, რენტგენოლოგმა უნდა:

- *ა) ავადმყოფის მძიმე მდგომარეობის დროს შეწყვიტოს გამოკვლევა
- ბ) ჩაიგარდეს დამატებითი გამოკვლევა ლაპარასკოპიით
- გ) საშუალო სიმძიმის მდგომარეობაში მყოფ პაციენტს უნდა ჩაუტარდეს კუჭისა და თორმეტიკოჯა ნაწლავისგამოკვლევა წყალში უხსნადი რენტგენო კონტრასტებით
- დ) ორმაგი კონტრასტირების მეთოდით შეისწავლოს კუჭი

791. გაუვალობა, განვითარებული ნაღვლოვანი კენჭებით ნაწლავის სანათურის ობსტრუქციის გამო უპირატესად ლოკალიზირდება

- *ა) ფაგერის ღვრილის ღონებზე
- ბ) ტრეიცის იოგის ღონებზე
- გ) თეძოს ნაწლავის დისტალურ ნაწილში

792. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ბემო ნაწილებიდან სისხლდენის პიკის დროს რენტგენოლოგიურ გამოკვლევას ატარებენ:

- *ა) ტროქოსკოპიაზე, ბარიუმის ფაფით, პაციენტის პოლიპოზიციური კვლევით, უკომპრესიოდ და პალპაციის გარეშე
- ბ) ბარიუმის ფაფით ვერტიკალურ მდგომარეობაში, მხოლოდ კომპრესიისა და პალპაციის გარეშე
- გ) ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, კუჭის აირიგ კონტრასტირებით
- დ) რაიმე შემზღვევის გარეშე

793. მუცლის ღრუს მარცხენა ნახევარში, წელის მეოთხე მალის ღონებზე უცხო სხეულის - მეტალის ნემსის, დიდ ხნით ერთსა და იმავე მდგომარეობაში ლოკალიზაციისას, მიზანშეწონილია ჩაგარდეს:

- ა) მუცლის ღრუს მიმოხილვითი გამოკვლევა
- *ბ) საჭმლის მომნელებელი ტრაქტის გამოკვლევა ბარიუმის ფაფით
- გ) ირიგოსკოპია
- დ) მუცლის ღრუს ტომოგრაფია

სარძევე ჯირკვლის დაავადებათა სხივური დიაგნოსტიკა

794. მასიური პროფილაქტიკური გასინჯვისას სარძევე ჯირკვლის რენტგენოლოგიური კვლევა უმჯობესია ჩაგარდეს

- ა) პირდაპირ ან გვერდით პროექციაში.
- ბ) პირდაპირ და გვერდით პროექციაში.
- გ) პირდაპირ და ირიბ პროექციაში.
- *დ) ირიბ პროექციაში.

795. რენტგენოგრაფია გამოსახულების პირდაპირი გადილებით გამოიყენება

- ა) პათოლოგიური კერის კონტურის ხასიათის დასაზუსტებლად.
- *ბ) მიკროკალცინატების არსებობის დასადგენად.
- გ) მიმოხილვითი მამოგრაფიისას, მკვერივი სარძევე ჯირკვლის შემთხვევაში, პათოლოგიური წარმონაქმნის გამოსავლენად.
- დ) ინვოლუციური სარძევე ჯირკვლის შემთხვევაში პათოლოგიური წარმონაქმნის

გამოსავლენად.

796. დუქტოგრაფიის ჩატარების აბსოლუტური ჩვენებაა გამონადენი ღვრილიდან

ა) ნებისმიერი ხასიათის

ბ) სეროზული ხასიათის

გ) სისხლიანი ხასიათის

*დ) სეროზული და სისხლიანი ხასიათის.

797. სარძევე ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევა მეტად ინფორმატიულია

ა) სარძევე ჯირკვლის კიბოს გამოსავლენად

ბ) სარძევე ჯირკვლის კიბოსა და კეთილთვისებიან სიმსივნეს შორის დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში

*გ) კისტოზურ და სოლიდურ წარმონაქმნებს შორის დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში

დ) კისტას, კეთილთვისებიან და ავთვისებიან სიმსივნეებს შორის დიფერენციალურ დიაგნოსტიკაში.

798. მამოგრაფიის ჩატარება რეკომენდირებულია

ა) მენსტრუალური ციკლის 1-5 დღეს

*ბ) მენსტრუალური ციკლის მე-6-12 დღეს

გ) მენსტრუალური ციკლის მე-2 ფაზაში

დ) არ აქვს მნიშვნელობა.

799. სარძევე ჯირკვლის რეგრომბალური სივრცისა და აქსილარული წანაზარდის მდგომარეობის შეფასებისათვის ოპტიმალურია

ა) პირდაპირი პროექცია

*ბ) ირიბი პროექცია

გ) გვერდითი პროექცია

დ) პირდაპირი და ირიბი პროექცია.

800. სარძევე ჯირკვლის გამოკვლევის რომელ კონტრასტულ მეთოდს აქვს თერაპიული ეფექტი.

ა) პნევმომათოგრაფია

ბ) დუქტოგრაფია

*გ) პნევმოკისტოგრაფია

დ) სადინრების ორმაგი კონტრასტირება.

801. პათოლოგიური პროცესი ყველაზე ხშირად ვითარდება სარძევე ჯირკვლის

*ა) ზედა გარეთა კვადრანტში

ბ) ზედა შიგნითა კვადრანტში

გ) ქვედა გარეთა კვადრანტში

დ) ქვედა შიგნითა კვადრანტში.

ე) გამოკვეთილი კანონზომიერება არ არის.

802. შერეული ფორმის მასტოპათიის გამოხატული ფორმის შემთხვევაში საკონტროლო მამოგრაფია უნდა ჩატარდეს

ა) 6 თვეში

*ბ) 1 წელიწადში

გ) 1,5-2 წლის შემდეგ

დ) 3 წლის შემდეგ.

803. მასკოპათიის კვანძოვან ფორმასა და ავთვისებიან სიმსივნეებს შორის ლიფერენციალურ-დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება მეტად

ა) არამკაფიო კონგურს

ბ) ჰიპერვასკულარიზაციის სიმპტომს

*გ) მენსტრუალური ციკლის ფაზებთან დაკავშირებით წარმონაშნის ზომების ცვალებადობას

დ) ბელგისებური კალცინაგების არსებობა.

804. პნევმოკისტოგრაფიის ჩატარების შემდეგ ოპერაციული მკურნალობა არ არის ნაჩვენები თუ

ა) კისტის შიგნითა კონგურები სწორია, ჰემორაგიული შიგთავსით

ბ) კედელთან ქსოვილოვანი წარმონაქმნი, სეროზული შიგთავსით

გ) კისტის სრული დაცლა, პუნქტაგში პროლიფერირებადი უჯრედები

*დ) კისტის კედლები სწორი, სეროზული შიგთავსით.

805. სარძევე ჯირკვლის კისტასა და ფიბროადენომას შორის ლიფერენცირების საშუალებას იძლევა

*ა) მსხვილი ბელგისებური გაკირული უბნების არსებობა

ბ) პერიფერიაზე თხელი ნათელი არშია

გ) კონგურების პოლიციკლურობა

დ) კაფსულის არსებობა.

806. ჯირკვლოვანი ქსოვილის ფონზე სარძევე ჯირკვლის ლიპომა გამოვლინდება, როგორც

ა) მკაფიო, სწორკონგურებიანი დაჩრდილვა

*ბ) მკაფიო, სწორკონგურებიანი ნათელი უბანი

გ) ჯირკვლოვანი ქსოვილის ფონზე ლიპომა არ ისახება

დ) მკაფიო, სწორკონგურებიანი დაჩრდილვა, პერიფერიაზე ნათელი არშიით.

807. ინვოლუციურ სარძევე ჯირკვალში ლიპომა შეიძლება გამოვლინდეს

ა) როცა წარმონაქმნის ზომაა 2 სმ-მდე

ბ) როცა წარმონაქმნის ზომაა 2 სმ-ზე მეტი

*გ) კაფსულის არსებობის შემთხვევაში

დ) ინვოლუციური ცვლილებების ფონზე ლიპომა არ ვლინდება.

808. სარძევე ჯირკვლის კიბოს ინფილტრაციული ფორმის პროგრესირებადი მრდის შემთხვევაში დაზიანებული სარძევე ჯირკვლის ზომები

*ა) იზრდება

ბ) მცირდება

გ) შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს

დ) არ იცვლება

809. სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის სკიროზული ტიპი, რომელიც პალპირებადია ზომებით

ა) შეესაბამება მის რენტგენოლოგიურ გამოსახულებას

ბ) მცირეა მის რენტგენოლოგიურ გამოსახულებაზე

*გ) მეტია მის რენტგენოლოგიურ გამოსახულებაზე

დ) შეიძლება იყოს როგორც მეტი, ასევე ნაკლები მის რენტგენოლოგიურ გამოსახულებაზე.

810. სარძევე ჯირკვლის სარკომასა და ლოკალურად ინფილტრირებულ კიბოს შორის ლიფერენციალური დიაგნოსტიკა გარდება:

*ა) კონგურის ხასიათის მიხედვით

- ბ) ჰიპერვასკულარიზაციის მიხედვით
- გ) ორგანოს დეფორმაციის მიხედვით
- დ) ლიფერენციალური დიაგნოსტიკა გაძნელებულია.

811. ლექტოგრაფიის ჩატარება უკუნაჩვენებია

- ა) ღვრილიდან ჩირქოვანი გამონადენის შემთხვევაში
- ბ) ღვრილიდან სეროზული გამონადენის შემთხვევაში
- *გ) სარძევე ჯირკვალში მწვავე ანთებითი პროცესის დროს
- დ) უკუჩვენება არ არის.

812. სარძევე ჯირკვლის კიბოსა და მასგოპათიის კვანძოვან ფორმას შორის ლიფერენციალური დიაგნოსტიკის გატარების საშუალებას გვაძლევს

- *ა) მენსტრუალური ციკლის ფაზებთან დაკავშირებული წარმონაქმნის ზომის ცვლილება
- ბ) წარმონაქმნის ჩრდილის ინტენსივობა
- გ) კალცინატების არსებობა
- დ) წარმონაქმნის კონტურის ხასიათი.

813. ჭეშმარიტ გინეკომასტიას ახასიათებს

- ა) გულმკერდის ზომაში მატება
- *ბ) მამოგრამაზე ჯირკვლოვან-შემაერთებელქსოვილოვანი კომპლექსის არსებობა
- გ) ღვრილიდან გამონადენი
- დ) გულმკერდის ჰიპერვასკულარიზაციის არსებობის ნიშნები.

814. სარძევე ჯირკვლის კიბოს დროს ჰიპერვასკულარიზაცია ვლინდება.

- ა) სისხლძარღვების დიამეტრის გაზრდით
- ბ) სისხლძარღვოვანი განგოტებების რაოდენობრივი მომატებით
- *გ) სისხლძარღვების დიამეტრისა და რაოდენობის მომატებით, მათი დაკლაკნილობით.
- დ) სისხლძარღვების დაკლაკნილობით.

815. სარძევე ჯირკვლის სადინრის მცირე ზომის კედლისმიერი წარმონაქმნის გამოვლენის მიზნით რეკომენდირებულია გამოვიყენოთ:

- ა) პნევომამოგრაფია
- ბ) სარძევე ჯირკვლის მიმოხილვითი რენგგენოგრაფია, შემდგომი დამიზნებითი რენგგენოგრაფიით
- *გ) ლექტოგრაფია
- დ) სადინრების ორმაგი კონტრასტირება

გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების დაავადებათა სხივური დიაგნოსტიკა

816. რენგგენოფუნქციონალური სიმპტომების გამოსავლენად ყველაზე მეტად ინფორმატიულია

- *ა) რენგგენოსკოპია
- ბ) რენგგენოგრაფია
- გ) სონოგრაფია
- დ) ტომოგრაფია

817. მარცხენა წინაგულის დილაგაციისას (დიასკოლური გადაგვირთვა) კონტრასტირებული საყლაპავის გადახრის რადიუსია

- ა) მცირე

- *ბ) დიდი
- გ) საშუალო
- დ) საყლაპავის გადახრა არ აღინიშნება

818. რომელ პროექციაში არ გამოდის კიდეზე მარჯვენა წინაგული

- ა) პირდაპირში
- ბ) მარჯვენა ირიბში
- გ) მარცხენა ირიბში
- *დ) მარცხენა გვერდითში

819. აღმაავალი აორტის განივი მომის დასადგენად ყველაზე ოპტიმალურ პროექციას წარმოადგენს

- ა) პირდაპირი
- ბ) მარჯვენა ირიბი
- გ) მარცხენა გვერდითი
- *დ) მარცხენა ირიბი

820. ნორმაში, პირდაპირ პროექციაში, გულის მარჯვენა სიბლვარი ხერხემლის კიდეს სცილდება

- ა) 4-5 სმ-ით
- *ბ) 2-3 სმ-ით
- გ) 6-7 სმ-ით
- დ) 8-10 სმ-ით

821. მარცხენა წინა ირიბ პროექციაში რეგროკარდიალური სივრცის შევიწროვება აღინიშნება

- ა) აორტის ასწვრივი ნაწილის დიამეტრის მომაგებისას
- *ბ) მარცხენა წინაგულის გადილებისას
- გ) მარჯვენა წინაგულის გადილებისას
- დ) მარჯვენა პარკუჭის გადილებისას

822. მარჯვენა წინა ირიბ პროექციაში დიაფრაგმის ბევით რეგროკარდიალური სივრცის შევიწროვება ვლინდება

- ა) მარჯვენა პარკუჭის გადილებისას
- *ბ) მარჯვენა წინაგულის გადილებისას
- გ) მარცხენა პარკუჭის გადილებისას
- დ) მარცხენა წინაგულის გადილებისას

823. პირდაპირ პროექციაში გულის მარცხენა საბლვარი ნორმაში მდებარეობს

- ა) ლავიწშუა ხაზიდან 1 სმ-ით შიგნით
- ბ) ლავიწშუა ხაზიდან 1 სმ-ით გარეთ
- *გ) ლავიწშუა ხაზზე
- დ) პარასტერნალური ხაზის ღონებზე

824. მარჯვენა პარკუჭი ნორმაში არ არის კიდისწარმოქმნილი

- *ა) პირდაპირ პროექციაში
- ბ) მარჯვენა ირიბ პროექციაში
- გ) მარცხენა ირიბ პროექციაში
- დ) მარცხენა გვერდით პროექციაში

825. გულის საწყის რენგგენოლოგიურ კვლევას წარმოადგენს

- * ა) გულმკერდის ღრუს პოლიპოზიციური რენგენოსკოპია
- ბ) ფლუროგრაფია პირდაპირ პროექციაში
- გ) გულმკერდის ღრუს რენგენოგრაფია სამ სტანდარტულ პროექციაში საყლაპავის კონტრასტირებით
- დ) გულმკერდის ღრუს რენგენოგრაფია პირდაპირ და მარცხენა გვერდით პროექციაში საყლაპავის კონტრასტირებით

826. პერიკარდის ცელომური კისტების დიაგნოსტიკაში ძირითადი მეთოდია

- ა) რენგენოსკოპია
- ბ) ექოკარდიოგრაფია
- * გ) კომპიუტერული ტომოგრაფია
- დ) რენგენოგრაფია

827. მუცლის აორტის შევიწროვების ლოკალიზაციის და კოლაგერალების მდგომარეობის შეფასებისათვის ოპტიმალურია

- ა) რენგენოგრაფია
- ბ) ულტრაბგერითი კვლევა
- * გ) აორტოგრაფია
- დ) კომპიუტერული ტომოგრაფია

828. გულის განივი ბომა მის სიგრძივზე მეტი შეიძლება იყოს

- ა) ჰიპერტონული დაავადებისას
- ბ) მიოკარდიტისას
- * გ) ექსუდაციური პერიკარდიტისას
- დ) ფილტვის არტერიის სტენოზისას

829. პერიკარდის ღრუში მცირე რაოდენობით სითხის გამოვლენისათვის შეღარებით ინფორმაციულია

- ა) რენგენოსკოპია
- ბ) რენგენოგრაფია
- * გ) ულტრაბგერითი კვლევა
- დ) ტომოგრაფია

830. ათეროსკლეროზის ღრუს აორტის კედლის გაკირვის დიაგნოსტირებისათვის ყველაზე ინფორმაციულია

- ა) ტომოგრაფია
- * ბ) კომპიუტერული ტომოგრაფია
- გ) რენგენოგრაფია
- დ) რენგენოსკოპია საყლაპავის კონტრასტირებით

831. ასწვრივი აორტის ანევრიზმა პირდაპირ რენგენოგრაფიაზე ვლინდება ჩრდილის სახით, რომელიც ლოკალიზდება

- * ა) გულმკერდის ღრუს მარჯვენა ნახევარში
- ბ) გულმკერდის ღრუს მარცხენა ნახევარში
- გ) გულმკერდის ღრუს მარჯვენა და მარცხენა ნახევარში
- დ) მუცლის ღრუში

832. გულმკერდის აორტის დასწვრივი ნაწილის ანევრიზმა პირდაპირ რენგენოგრაფიაზე ვლინდება

ჩრდილის სახით, რომელიც ლოკალიზდება

ა) გულმკერდის ღრუს მარჯვენა ნახევარში

*ბ) გულმკერდის ღრუს მარცხენა ნახევარში

გ) გულმკერდის ღრუს მარჯვენა და მარცხენა ნახევარში

დ) მუცლის ღრუში

833. დასწვრივი აორტის ანევრიზმისას კონტრასტირებული საყლაპავი გადაიხრება

ა) წინ და მარცხნივ

*ბ) წინ და მარჯვნივ

გ) უკან და მარცხნივ

დ) უკან და მარჯვნივ

834. აორტის რკალის ანევრიზმისას კონტრასტირებული საყლაპავი გადაიხრება

ა) წინ და მარცხნივ

ბ) წინ და მარჯვნივ

გ) უკან და მარცხნივ

*დ) მარჯვნივ და უკან

835. შუასაყრის კისტებისა და აორტის ანევრიზმების ლიფერენციალური დიაგნოსტიკისათვის მეტად ინფორმატიულია

ა) რენტგენოგრაფია

ბ) ტომოგრაფია

გ) ექოკარდიოგრაფია

*დ) კომპიუტერული ტომოგრაფია

836. კორონარული ათეროსკლეროზის მუსტი დიაგნოსტიკისათვის კვლევის გადამწყვეტი

მეთოდია: 1) კორონაროგრაფია; 2) რენტგენოგრაფია; 3) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია

*ა) 1

ბ) 2

გ) 3

დ) სწორია 1 და 3

837. გულის სარქველოვანი აპარატის მდგომარეობის შესახებ ოპტიმალური ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ

ა) რენტგენოსკოპიით

ბ) რენტგენოგრაფიით

*გ) ულტრაბგერითი კვლევით

დ) კომპიუტერული ტომოგრაფია

838. გულის ზომების მნიშვნელოვან მაგებას თან ახლავს

ა) იზომეტრული ჰიპერტენზია

ბ) ადაპტაციური ჰიპერტროფია

გ) ტონოგენური დილატაცია

*დ) მიოგენური დილატაცია

839. სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში შეგუბებისას ჰემოდინამიკის დარღვევა ხასიათდება

*ა) ვენური შეგუბებით

ბ) ჰიპერვოლემიით

- გ) ჰიპოვოლემიით
- დ) სისხლის ნორმალური ნაკადით

840. მარცხენა პარკუჭის ფუნქციური მდგომარეობის დარღვევისთვის დამახასიათებელია ფილტვებში ჰემოდინამიკის ცვლილებები

- *ა) ვენური შეგუბება
- ბ) მცირე წრეში ნორმალური სისხლის ნაკადი
- გ) არტერიული ჰიპერტენზია
- დ) ფილტვებში სისხლის მიმოქცევის გაღარიბება

841. სუბპლევრალური სითხის დაგროვება ვლინდება

- *ა) ვენური შეგუბებისას
- ბ) ჰიპერვოლემიისას
- გ) არტერიული ჰიპერტენზიისას
- დ) ჰიპოვოლემიისას

842. კერლის ხაზები მეტად დამახასიათებელია

- ა) ფილტვის ნორმალური სისხლის მიმოქცევისას
- *ბ) სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში ვენური შეგუბებისას
- გ) ჰიპოვოლემიისას
- დ) ჰიპერვოლემიისას

843. კერლის ხაზების მორფოლოგიური საფუძველია

- ა) პერიფერიული ვენების გაფართოება
- *ბ) წილთაშუა ძგიდეებში ლიმფოსტაზი
- გ) ფილტვის ოლიგემია
- დ) პლევრის შეშუპება

844. სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში არტერიული ჰიპერტენზია დამახასიათებელია

- ა) ფილტვის არტერიის სტენოზისათვის
- ბ) აორტის კოარქტაციისათვის
- გ) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლიისათვის
- *დ) მიგრალური სტენოზისათვის

845. მცირე წრეში არტერიული ჰიპერტენზიის არაპირდაპირ სიმპტომს წარმოადგენს

- ა) მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია
- *ბ) მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფია
- გ) ჰემოსიდეროზი
- დ) წილაკებსშორისი შეშუპება

846. ჰემოსიდეროზი, როგორც გართულება გვხვდება

- ა) ფილტვის არტერიის სტენოზის დროს
- ბ) "ფილტვისმიერი" გულის დროს
- *გ) მიგრალური სტენოზის დროს
- დ) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის დროს

847. კერლის ხაზები შეიძლება გამოვლინდეს

- ა) აორტის კოარქტაციის დროს

- ბ) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის დროს
- *გ) მიგრალური სტენოზის დროს
- დ) ებშტეინის ანომალიის დროს

848. ფილტვის სისხლძარღვოვანი სურათის გოტალური ცალმხრივი გაიშვიათება შეიძლება გამოვლინდეს:

- ა) პნევმოსკლეროზის დროს
- ბ) მთავარ ბრონქში უცხო სხეული
- გ) ფალოს ტეტრადას დროს
- *დ) ფილტვის არტერიის ჰიპოპლაზიისას

849. პერიკარდიუმის ღრუში დიდი რაოდენობის სითხის არსებობისას ფილტვის სურათის დამახასიათებელი ცვლილებებია

- *ა) ვენური შეგუბება
- ბ) ცვლილებების გარეშე
- გ) ჰიპოვოლემია
- დ) ჰიპერვოლემია

850. ბრონქებისა და სისხლძარღვების "ცლომის" რენტგენოლოგიური ნიშანი აღინიშნება

- ა) პნევმონიის დროს
- ბ) ფილტვის ინფარქტის დროს
- გ) ფილტვის არტერიების თრომბოემბოლიის დროს
- *დ) ფილტვის კისტის არსებობის დროს

851. კერლის ხაზები აღინიშნება ფილტვებში სისხლის მიმოქცევის ცვლილებების დროს რომლებიც თავის მხრივ ვითარდება

- ა) ვენური შეშუპების ხარჯზე
- ბ) არტერიალური ჰიპერტენზიის ხარჯზე
- *გ) ინტერსტიციალური შეშუპების ხარჯზე
- დ) ალვეოლარული შეშუპების ხარჯზე

852. ფილტვებში ნორმალური სისხლის მიმოქცევა აღინიშნება

- ა) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტის დროს
- ბ) ფალოს ტეტრადის დროს
- *გ) აორტის კოარქტაციის დროს
- დ) ეიზენმენგერის სინდრომის დროს

853. გულის იშემიური დაავადების დროს, ფილტვში ჰემოდინამიკის ცვლილებების ინგენსივობა დამოკიდებულია:

- ა) გულის ზომებზე
- ბ) დაავადების ხანგრძლივობაზე
- *გ) მიოკარდის დამიანების ზომებზე
- დ) ავადმყოფის ასაკზე

854. ფილტვის ალვეოლარული შეშუპება, რომელსაც წინ არ უძღვის ცვლილებები ფილტვის სისხლის მიმოქცევაში, შეიძლება განვითარდეს

- ა) მგულის მანკის დეკომპენსაციის დროს
- *ბ) მიოკარდის მწვავე ინფარქტის დროს

- გ) ფილგვის არგერიის თრომბოემბოლიის დროს
- დ) დილაგაციური კარდიომიოპათიის დროს

855. ციანობი - წამყვანი სიმპტომია

- ა) აორტის შესართავის სტენოზის
- *ბ) ფალოს ტეტრადის
- გ) მიტრალური უკმარისობის
- დ) პერიკარდის ცელომიური კისტების

856. მარცხენა პარკუჭში შეყვანილი კონტრასტული ნივთიერებით ერთდროულად კონტრასტირდება მარჯვენა პარკუჭი და აორტა

- ა) ღია არტერიული სადინრის არსებობისას
- ბ) ებშტეინის ანომალიის არსებობისას
- გ) ფალოს ტეტრადის არსებობისას
- *დ) პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტის არსებობისას

857. მარცხენა პარკუჭში კონტრასტული ნივთიერების შეყვანისას აორტასთან ერთად კონტრასტირდება მარცხენა წინაგული

- ა) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტისას
- ბ) მიტრალური სტენოზისას
- *გ) მიტრალური უკმარისობისას
- დ) აორტალური უკმარისობისას

858. თუ მარცხენა პარკუჭში კონტრასტული ნივთიერების შეყვანისას კონტრასტირდება მარცხენა წინაგული, მაშინ არის

- ა) აორტალური უკმარისობა
- ბ) ღია არტერიული სადინარი
- გ) ფალოს ტეტრადა
- *დ) მიტრალური უკმარისობა

859. არტერიული წნევა 130/0 მმ.ვერცხ.სვ. - ეს სიმტკობი დამახასიათებელია

- ა) მიოკარდიგისათვის
- ბ) პერიკარდიგისათვის
- გ) მარცხენა წინაგულის მიქსომისათვის
- *დ) აორტალური სარქველის უკმარისობისათვის

860. აორტაში კონტრასტული ნივთიერების შეყვანისას ფილგვის არტერია კონტრასტირდება

- ა) წინაგულთაშუა ძგიდის დეფექტისას
- ბ) მაგისტრალური სისხლძარღვების გრნსპოზიციისას
- *გ) ღია არტერიული სადინრისას
- დ) აორტალური სარქველის უკმარისობისას

861. აორტაში კონტრასტული ნივთიერების შეყვანისას მარცხენა პარკუჭი კონტრასტირდება

- ა) ფილგვის არტერიის სტენოზისას
- ბ) მიტრალური სარქველის უკმარისობისას
- გ) აორტის შესართავის სტენოზისას
- *დ) აორტალური სარქველის უკმარისობისას

862. ფილგვების ფესვების "ასიმეტრიის" სიმპტომი აღინიშნება

- ა) ებშტეინის ანომალიისას
- *ბ) ფილგვის არტერიის სტენოზისას
- გ) წინაგულთაშუა ძგილის ლეფექტისას
- დ) პარაკუჭთაშუა ძგილის ლეფექტისას

863. მიგრალური სარქელის უკმარისობისათვის მარჯვენა ირიბ პროექციაში დამახასიათებელია კონგრასტირებული საყლაპავის ცლომის რკალის

- ა) მცირე რადიუსი
- ბ) საშუალო რადიუსი
- *გ) დიდი რადიუსი
- დ) საყლაპავის ცლომა არაა გამოხატული

864. მიგრალური სარქელის უკმარისობისათვის დამახასიათებელია მარცხენა წინაგულის კუმშვადობის ამპლიტუდა

- ა) შემცირებული
- *ბ) მომატებული
- გ) საშუალო
- დ) ამპლიტუდა არაა შეცვლილი

865. აორტის დიამეტრის შემცირება დამახასიათებელია

- ა) აორტალური სარქელის უკმარისობისათვის
- ბ) მარჯვენა აგრიო-ვენტრიკულარული ხერელის სტენოზისათვის
- გ) აორტის ათეროსკლეროზული დამიანებისათვის
- *დ) მარცხენა აგრიო-ვენტრიკულარული ხერელის სტენოზისათვის

866. ნეკნთა "უმურიება" აღინიშნება

- ა) აორტის მარჯვენამხრივი მდებარეობისას
- ბ) ორმაგი აორტის რკალისას
- *გ) აორტის კოარქტაციისას
- დ) აორტის შესართავის სტენოზისას

867. მარჯვენა პარაკუჭის ჰიპერტროფია აღინიშნება

- ა) აორტის შესართავის სტენოზისას
- ბ) აორტალური სარქელის უკმარისობისას
- გ) აორტის კოარქტაციისას
- *დ) მიგრალური სტენოზისას

868. გულმკერდის ღრუს ჩონჩხში აგროფია ბეწოლისაგან შეიძლება აღინიშნებოდეს

- ა) მიგრალური მანკისას
- ბ) ღია არტერიული სადინრისას
- *გ) აორტის ანევრიზმისას
- დ) აორტალური სარქელის უკმარისობისას

869. აორტის რკალის დონეზე საყლაპავი (პირდაპირ პროექციაში) გადაიხრება მარცხნივ

- ა) აორტის კოარქტაციისას
- ბ) ჰიპერტონული დაავადებისას
- *გ) აორტის მარჯვენამხრივი მდებარეობისას

დ) აორგალური სარქელის უკმარისობისას

870. მარცხენა წინაგულის აუცილებელ გადიდება თან ახლავს

ა) აორგის კოარქტაციას

ბ) ფალოს ტეგრადას

*გ) მიგრალური სტენოზის

დ) აორგის ანევიზმისას

871. "ფილტვისმიერი" გული წარმოადგენს

ა) ჰიპერტონული დაავადების გართულებას

ბ) ჰიპერთირეოზის გართულებას

გ) მიოკარდიტის გართულებას

*დ) ქრონიკული პნევმონიის გართულებას

872. კონგრასტირებული საყლაპავის ცლომა რკალის დიდი რადიუსით (მარჯვენა წინა ირიბი პროექცია) დამახასიათებელია

ა) "ჯავშნიანი" გულისათვის

ბ) მიგრალური სტენოზისთვის

*გ) მიგრალური უკმარისობისთვის

დ) ტრიკუსპიდალური სტენოზისთვის

873. მარცხენა პარკუჭის კონტურის გასწვრივ კუმშვადობის არ არსებობა (აღინამიური ზონა) გვხვდება

ა) მიგრალური სტენოზისას

ბ) ფილტვისმიერი გულისას

გ) "ჰიპერტონული" გულისას

*დ) მიოკარდიუმის ინფარქტისას

874. გულის ჩრდილის ზომების სწრაფი ღინამიკა აღინიშნება

ა) მიოკარდიტისას

ბ) ფილტვისმიერი გულისას

*გ) ექსუდაციური პერიკარდიტისას

დ) მიოკარდიოპათიისას

875. შეხორცებითი პერიკარდიტის სიმპტომს წარმოადგენს

ა) გულის სიგრძის მომაგება

*ბ) გულის კონტურებზე გაკირული უბნებუ არსებობა

გ) გულის განივი ზომის მომაგება

დ) გულის კონტურებზე კუმშვადობის ამპლიტუდის მომაგება

876. პერიკარდის ცელომიური კისტებისათვის არაა ტიპური

ა) ლოკალიზაცია მარჯვენა გულ-ღიაფრაგმალური კუთხის მიდამოში

ბ) სუნთქვისას ჩრდილის ფორმის ცვლილება

*გ) ლოკალიზაცია მარცხენა წინაგულის საპროექციო მიდამოში

დ) გადაცემითი პულსაცია

877. მარჯვენა კარდიოღიაფრაგმალური კუთხის საპროექციო მიდამოში გამობერილობა დამახასიათებელია

- ა) მიგრალური უკმარისობისათვის
- ბ) აორტის შესართავის სტენოზისათვის
- *გ) პერიკარდის ცელომიური კისტებისათვის
- დ) აორტის კოარქტაციისათვის

878. გულის ჩრდილის კონტურების გაკირვა დამახასიათებელია

- ა) ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზისათვის
- *ბ) შეხორცებითი პერიკარდიტისათვის
- გ) მიოკარდიტისათვის
- დ) მიგრალური სტენოზისათვის

879. გულის არასწორი, არამკაფიო კონტურები აღინიშნება

- ა) ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზის დროს
- ბ) ჰიპერტონული დაავადების დროს
- გ) მიოკარდიტის დროს
- *დ) შეხორცებითი პერიკარდიტის დროს

880. მწვავე მარცხენაპარკუჭოვანი უკმარისობისათვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი

- ა) ფილტვის არტერიული ჰიპერტენზია
- ბ) ფილტვის ჰემოდინამიკის ცვლილების შერეული ტიპი
- *გ) ფილტვის ვენური ჰიპერტენზია
- დ) ფილტვის ნორმალური სისხლის მიმოქცევა

881. მარცხენა პარკუჭის ანევრიზმისათვის დამახასიათებელია

- ა) გულის დიფუზური გაფართოება
- *ბ) მარცხენა პარკუჭის კედლის შემოსაზღვრული გამობერილობა
- გ) პარკუჭის მომები ჩვეულებრივია
- დ) პარკუჭი შემცირებულია

882. ექსუდაციური პერიკარდიტისათვის დამახასიათებელია

- ა) მარცხენა პარკუჭის რკალის დაგრძელება
- ბ) მარჯვენა პარკუჭის რკალის დაგრძელება
- *გ) გულის ყველა რკალის წაშლა
- დ) ფილტვის არტერიის რკალის გაფართოება

883. ექსუდაციური პერიკარდიტისათვის დამახასიათებელია

- ა) პულსაციის ამპლიტუდის გაზრდა
- *ბ) პულსაციის ამპლიტუდის შემცირება
- გ) პულსაცია არაა შეცვლილი
- დ) პარადოქსული პულსაცია

884. გულის კუნთის დიფუზური დამიანებისას კარდიოლიაფრაგმალური კუთხე არის:

- ა) მახვილი
- *ბ) ბლაგვი
- გ) არ არის შეცვლილი
- დ) მარჯვენა კარდიოლიაფრაგმალური კუთხე არის მახვილი

885. ექსუდაციური პერიკარდიტისას (დიდი რაოდენობით სითხის არსებობისას)

კარდიოლიაფრაგმალური კუთხე არის

*ა) მახვილი

ბ) ბლაგვი

გ) არ არის შეცვლილი

დ) მარჯვენა კარდიოლიაფრაგმალური კუთხე არის მახვილი

886. შეგუბებითი დილატაციური კარდიომიოპათიისათვის დამახასიათებელია

ა) ფილტვის ვენური ჰიპერტენზია

ბ) ორივე პარკუჭის გადილება

გ) გულის ჩრდილის კონტურების წაშლა

*დ) ყველა ჩამოთვლილი სიმპტომი

887. ფილტვისმიერი გულისათვის დამახასიათებელია

ა) მარცხენა პარკუჭის გადილება

*ბ) მარჯვენა პარკუჭის გადილება

გ) მარცხენა წინაგულის გადილება

დ) მარცხენა წინაგულისა და მარცხენა პარკუჭის გადილება

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებათა რენტგენოლოგიკა

888. ძვლის სიმკვრივეს რენტგენოგრამაზე განსაზღვრავს:

*ა) ძვლის მინერალუბი

ბ) წყალი

გ) ძვლის ქსოვილის ორგანული ნივთიერებანი

დ) ძვლის ტვინი

889. ჩამოყალიბების პერიოდში არ გადიან ხრტილოვან სტადიას:

ა) ნეკნები

ბ) მალეები

*გ) ქალას სარქველის ძვლები

დ) თითის ფალანგები

890. ძვლების ნორმალურ თანწყობაზე მხრის სახსარში მიუთითებს: 1) მხრის რენტგენოლოგიური სასახსრე ნაპრალის თანაბარი სიგანე; 2) მხრის რენტგენოლოგიური სასახსრე ნაპრალის არათანაბარი სიგანე; 3) მხრის თავის ქვედა მედიალური კვადრანტის მდებარეობა სასახსრე ფოსოს ქვედა პოლუსის ზემოთ

ა) 1

ბ) 2

გ) 3

*დ) 1;3

891. ბოქვენის სიმფიზში ძვლების ნორმალურ ღგომამზე მიუთითებს:

ა) სიმფიზის შევიწროება

ბ) სიმფიზის გაფართოება

*გ) სიმფიზში შემავალი ძვლების ზედა კიდეზე გავლებულ ხაზის სისწორე (ტეხილი კიბისებრი ლეფორმაციის გარეშე)

892. მენჯ-ბარძაყის სახსრის პირდაპირ რენტგენოგრამაზე ბარძაყის გარეთა როტაციზე

მიუთითებს: 1) ბარძაყის ძვლის თავისა და დიდი ციბრუგის დაახლოება; 2) ბარძაყის ძვლის შიდა კონტურზე მცირე ციბრუგის სრული გამოვლენა; 3) ბარძაყის ძვლის შიდა კონტურზე მცირე ციბრუგის მწვერვალის გამოვლენა; 4) ბარძაყის ძვლის შიდა კონტურზე მცირე ციბრუგი არ ვლინდება

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- *ე) 1;2

893. ნორმალური ბარძაყის ძვლის თავს აქვს:

- *ა) სწორი მრგვალი ფორმა
- ბ) არასწორი მრგვალი ფორმა
- გ) ოვალური ფორმა
- დ) სოკოსებრი ფორმა

894. ტაბუხის ფოსოს სასახსრე მელაპირით დაფარულ ნაწილს ეკუთვნის

- ა) ტაბუხის ფოსოს მხოლოდ სახურავი
- ბ) ტაბუხის ფოსოს მხოლოდ ძირი
- გ) ტაბუხის ფოსოს სახურავი და ძირი
- *დ) ტაბუხის ფოსოს ნახევარმთვარისებრი მელაპირი

895. ბარძაყის ძვლის დიაფიზისათვის დამახასიათებელია :

- *ა) წინა რკალისებრი გამობერილობა
- ბ) უკანა რკალისებრი გამობერვა
- გ) შიგნითა რკალისებრი გამობერვა

896. ნეკნსა და მკერდის ძვალს შორის შესახსრებაა: 1) სინდესმოზი; 2) სინქონდროზი; 3) სახსარი; 4) სინოსტოზი

- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- *ე) 2;3

897. კისრის პირველ მალას (აგლანგს) არა აქვს: 1) სხეული; 2) რკალები; 3) გვერდითი მასები; 4) განივი მორჩები

- *ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4
- ე) 2;3

898. კისრის მალეების ნახევარმთვარისებრი მორჩების ორმხრივი გამოვლენისათვის ოპტიმალური პროექციაა:

- *ა) პირდაპირი-უკანა
- ბ) გვერდითი
- გ) ირიბი 15 გრადუსიანი ბრუნით

დ) ირიბი 45 გრადუსიანი ბრუნვით

899. ხერხემლის კისრის მიღამოს მწვავე ტრავმისას გვერდითი რენტგენოგრაფია მიზანშეწონილია ჩაგარდეს: 1) ავადმყოფის მჯლომარე პოზიციაში; 2) გვერდზე წოლისას; 3) ბურგზე მწოლირე მდგომარეობაში რენტგენის სხივის კონის ჰორიზონტალური მიმართულებისას (ლაგერო პოზიცია)

ა) 1

ბ) 2

*გ) 3

დ) 1;2

900. ხერხემლის კისრის მიღამოს რენტგენოგრაფიისას გვერდით პროექციაში ცენტრალური სხივი მიმართულია: 1) უშუალოდ წინამხრის მემოთ; 2) ხერხემლის კისრის მიღამოს შუაში; 3)

დერილისებრ მორჩბე

ა) 1

*ბ) 2

გ) 3

დ) 2;3

901. ყველაზე გრძელი წვეტიანი მორჩი აქვს:

*ა) კისრის მე-7 მალას

ბ) კისრის მე-5 მალას

გ) კისრის მე-3 მალას

დ) კისრის მე-2 მალას

902. ქვემოთ ჩამოთვლილ მტკიცებულებებს შორის სწორია:

*ა) კისრის მალეების უკანა ბელაპირებზე გავლებული ხაზის გასწვრივ გვერდით რენტგენოგრაფებზე -საფეხურების- გამოვლენა ყოველთვის პათოლოგიური პროცესის მიმანიშნებელია

ბ) ასეთი -საფეხურები- შესაძლოა ნორმაშიც არსებობდეს

გ) ორივე მტკიცებულება სწორია

დ) ორივე მტკიცებულება არასწორია

903. ჩამოთვლილ მტკიცებულებებს შორის სწორია:

ა) ყველა მალის რკალის ფესვები ვლინდება ოვალის სახით

ბ) კისრის მალეების რკალის ფესვები ვლინდება ოვალის სახით

გ) წელის ყველა მალის რკალის ფესვები ვლინდება ოვალის სახით

*დ) ყველა მალის რკალის ფესვები შესაძლოა არ გამოვლინდეს ოვალის სახით

904. ამოარჩიეთ სწორი მტკიცებულება:

*ა) ხერხემლის სვეტის წელის არეში გვერდით რენტგენოგრაფაზე სხეულთა უკანა ბელაპირზე ე. წ. კიბეები ყოველთვის პათოლოგიური მოვლენაა

ბ) აღნიშნული საფეხურები შესაძლოა ნორმაშიც იყოს

გ) ორივე ლებულება სწორია

დ) ორივე ლებულება არასწორია

905. L5-მ1 მალთაშუა დისკის ფორმა ნორმაში არის:

ა) ლენგის ფორმის

*ბ) სოლისებრი, ფართო ნაწილით წინ

- გ) სოლისებრი ფართო ნაწილით უკან
- დ) სოლისებრი ფართო ნაწილით ლაგერალურად

906. შეარჩიეთ სწორი დებულება:

- ა) გვერდით რენტგენოგრაფებზე წელის ყველა მალის სიმაღლე ერთნაირია წინა და უკანა ნაწილებში
- ბ) გვერდით რენტგენოგრაფებზე წელის ყველა მალთაშუა დისკის სიმაღლე ერთნაირია წინა და უკანა ნაწილებში
- *გ) წელის მეხუთე მალის სხეულის ფორმა სოლისებურია, ვიწრო ნაწილით უკან

907. ძვლების მოგებილობისას ყველაზე დამაჯერებელი სიმპტომია:

- ა) ძვლის სტრუქტურის გამკვრივება
- ბ) ძვლის დეფორმაცია
- *გ) კორტიკალური შრის დარღვევა
- დ) ნათელი ხაზის არსებობა

908. მოგებილი ფრაგმენტების კიდეების რენტგენოკონტრასტულობის მომატებას ადგილი აქვს:

- *ა) ფრაგმენტების შეცილებისას მათ პროექციული სუპერპოზიციას და ფრაგმენტების ჩაჭედვას
- ბ) ფრაგმენტების შეცილება კუთხით
- გ) ფრაგმენტების დაცილება

